

მასწავლებელთა ემოციური ინტელექტისა და შემოქმედებითი აზროვნების
კავშირი კარიერულ მიღწევასთან

თათია თურმანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი, PHD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი , ვაცხადებ , რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს , რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

თათია თურმანიძე 26.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია დაადგინოს არის თუ არა კავშირი მასწავლებელთა ემოციურ კომპეტენციებსა და შემოქმედებითი აზროვნების მახასიათებლებს შორის, არის თუ არა მასწავლებელთა ემოციური ინტელექტი და შემოქმედებითი აზროვნება მათი კარიერული მიღწევის(სტატუსის) პრედიქტორი, არსებობს თუ არა განსხვავება საგნის პედაგოგებს შორის ემოციური ინტელექტისა და შემოქმედებითი აზროვნების მაჩვენებლების მიხედვით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 60-მა უფროსი(N=34) და წამყვანი (N=26) სტატუსის მქონე პედაგოგმა. მონაწილეები ორ ჯგუფად დაიყო: ზუსტი და საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლები, მათი სამუშაო გამოცდილება ერთიანდებოდა შემდეგ კატეგორიებში : 1-10; 11-20; 21-30 და 31-40 წლიანი სწავლების გამოცდილება. გამოყენებული იქნა შემდეგი ინსტრუმენტები: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი (TEIQue) (Petrides, 2009), შემოქმედებითი პოტენციალის გასაზომად საჭირო ორ ნაწილიანი ტესტი, ალტერნატიული გამოყენების ტესტი (The Alternative Uses Test) (გილფორდი, 1950), შემოქმედებითი აქტივობებისა და შემოქმედებითი მიღწევების სკალა (Inventory of creative activities and achievements - ICAA) (Benedek, Jauk, 2013).

კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა ემოციური ინტელექტისა და შემოქმედებითი აზროვნების მაჩვენებლებს შორის არსებობს კავშირი. ზუსტი და საბუნებისმეტყველო , ასევე ჰუმანიტარული საგნების პედაგოგთა ჯგუფთა შორის შედარებამ აჩვენა, რომ ჯგუფებს შორის ემოციური ინტელექტის, შემოქმედებითი მიღწევების, აქტივობებისა და პოტენციალის (პასუხების ორიგინალურობა, სიხშირე) მაჩვენებლების მიხედვით არ არსებობს სტატისტიკურად სანდო განსხვავება. ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება შემოქმედებითი მიღწევების მაჩვენებლის მიხედვით სწავლების გამოცდილების ჯგუფებში , შემოქმედებითი მიღწევების მაჩვენებელი 1-დან 10წლამდე გამოცდილების მქონე ჯგუფში უფრო მაღალია, ვიდრე 11-დან 20წლამდე ჯგუფში . წრფივმა რეგრესიულმა ანალიზმა

აჩვენა რომ წამყვან პედაგოგებში შემოქმედებითი მიღწევების მაჩვენებელი წარმოადგენს პრედიქტორს კრედიტ ქულების მოპოვებისათვის. უფროს პედაგოგებში კი კრედიტ ქულების მოსაპოვებლად პრედიქტორი ცვლადის როლს ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებელი ასრულებს. ლოჯისტიკური რეგრესიული ანალიზის შედეგად დადგინდა, ემოციური ინტელექტის გლობალური ქულის, კრეატიული აქტივობების, შემოქმედებითი პოტენციალის მაჩვენებლების (პასუხთა ორიგინალურობა, სიხშირე) პრედიქტორული ღირებულება მასწავლებლის კარიერულ წარმატებაზე ამ შემთხვევაში სტატუსის მოპოვებაზე არ არის სანდო. მხოლოდ შემოქმედებით მიღწევებს აქვს (უარყოფითი) პრედიქტორული ღირებულება.

კვლევა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოში მსგავსი ტიპის კვლევა პირველია და იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი განათლების სისტემაში მომუშავე პროფესიონალების ინფორმირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, შემოქმედებითი აზროვნება, კარიერული მიღწევა, შემოქმედებითი პოტენციალი, შემოქმედებითი მიღწევები, შემოქმედებითი აქტივობები, მასწავლებლის სტატუსი, წამყვანი, უფროსი.

Abstract

The present study aims to determine whether there is a connection between the characteristics of the teachers' emotional competencies and creative thinking. Are the teachers' emotional intelligence and creative thinking, predictors of teachers' career achievement (status) and is the difference between subject teachers according to the indicators of emotional intelligence and creative thinking? The survey consisted of 60 senior (N = 34) and leading (N = 26) status teachers. Participants were divided into two groups: teachers of the exact and natural and humanitarian subjects, their work experience united in the following categories: 1-10; 11-20; 21-30 and 31-40. The following tools

were used: The Alternative Uses Test (Guildford, 1950) for creative potential, Trait Emotional Intelligence Questionnaire (TEIQue) (Petrides, 2009) , Inventory of creative activities and achievements - ICAA (Benedek, Jauk, 2013).

Correlation analysis has shown that there is a link between the teachers' emotional intelligence and the creative thinking. Statistical differences *between* the means of two *groups* showed that there is no statistically reliable difference between subject teachers according to emotional intelligence, creative achievements, activities and potential (the originality, frequency of answers) . One-sided dispersion analysis showed that the creative achievement's score is higher in 11-20 years of experience group than 1 to 10 years of experience group . Linear regressive analysis has demonstrated that in case of leading teachers, the "creative achievements" is the predictor for obtaining credit scores, while in case of senior teachers, the predictor variable is teacher's emotional intelligence. Logistic regression analysis has shown that the predictor value of the global score of emotional intelligence, creativity, creative potential indicators (originality, frequency of responses) is not trustworthy to achieve career success (teacher status) . Only "creative achievements" has (negative) predictor value.

The research is important to inform the professionals, working in the education system.

KEYWORDS: Emotional intelligence, creative thinking, career achievement, creative potential, creative achievements, creative activities, teacher status, leading, senior.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელ ნატა მეფარიშვილს იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის, რითიც დიდი დახმარება გამიწია წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო სსიპ-ქალაქ თბილისის მე-20 და მე-17, ქ.ქუთაისის ი.ოცხელის სახელობის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორებსა და პედაგოგებს, რომელთა მონაწილეობის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება.